პროექტი: „კიბერბულინგი“

 სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტი ქ.ჯვარის პირველი საჯარო სკოლა

პროექტის ხელმძღვანელი : ნანა გოგოხია

სამიზნე ჯგუფი : მე-8, მე-9, მე-10 კლასი 54 მოსწავლე

პროექტის განხორციელების დრო :2 თვე

პროექტის აქტუალურობა : 21-ე საუკუნეში , როდესაც ადამიანების უმეტესობა ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია, კიბერბულინგი ძალიან დიდი საშიშროება გახდა, განსაკუთრებით მოზარდებში, ხშირად კიბერბულინგის მსხვერპლი სკოლის მოსწავლეები ხდებიან. კიბერბულინგი ინტერნეტისა და სოციალური ქსელების საშუალებით ვლინდება. კიბერბულინგი არ გავს პირდაპირ დაშინებას/ მუქარას. ის არის მუდმივი,საჯარო და ანონიმური. კიბერმოძალადეები შეიძლება არ იყვნენ მხოლოდ აგრესიული ანუ ხულიგანი ბავშვები, არამედ ადვილად შესაძლებელია იყვნენ მორცხვი,წყნარი ბავშვები ,რომლებიც ამოფარებულნი არიან კმპიუტერებს .ვინაიდან ასეთი სახეობის დაშინება საჯაროა, მსხვერპლი არ არის დარწმუნებული თუ ვინ ახორციელებს ამას და ვისი უნდა ეშინოდეს . კიბერბულინგმა მსხვერპლში შეიძლება გამოიწვიოს დაბალი თვითშეფასება , დეპრესია, სკოლის გაცდენა,ცუდი აკადემიური შედეგი, სუიციდი. ამ ბოლო დროს განვითარდა საკმაოდ არასასურველი სიტუაციები ამიტომ აუცილებელი და მნიშვნელოვანია ამ საფრთხეების იდენტიფიცირება და პრევენცია,როგორც მოსწავლეების,ასევე მასწავლებლებისა და მშობლების მხრიდან .

მოსწავლეები პროექტის ფარგლებში ამ საკითხებზე იმუშავებენ, აიმაღლებენ ცნობიერების დონეს, რათა შეძლონ თავის დაცვა მოძალადეებისგან.

პროექტის მიზანი:

1. მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლება კიბერბულინგთნ დაკავშირებით
2. კიბერბულინგის პრევენციისთვის საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარება.
3. ციფრული მოქალაქეობისა და ტექნოლოგიური წიგნიერების კომპეტენციის განვითარება .

პროექტის შედეგი:

აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს მოსწავლეებს კიბერბულინგის თემასთან მიმართებით ცნობიერების ამაღლებას. გააცნობიერებენ რა არის კიბერბულინგი, ვინ არიან კიბერბულინგში ჩართული მხარეები, რომელი არხებითა და რა ფორმებით ხორციელდება აღნიშნული.

გაეცნობიან კიბერბულინგიდან მომდინარე რისკებს,საფრთხეებსა და მოსალოდნელ შედეგებს. მასთან ბრძოლისა და პრევენციის გზებს. აგრეთვე განუვითარდებათ ციფრული მოქალაქეობისა და ტექნოლოგიური წიგიერების კომპეტენცია.

პროექტის განხორციელების რისკებია:

მოსწავლეები ნაკლება იცნობენ სხვადასხვა პლათფორმებს, სადაც შეიძლება ელექტრონული რესურსების შექმნა.

პროექტის მდგრადობა :

პროექტის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ეცოდინებათ: ონლაინ სივრცეში კიბერბულინგთან დაკავშირებული უსაფრთხოების ძირითადი საკითხები.

გაეცნობიან სხვადახვა პლათფორმაზე ელექტრონული რესურსების შექმნას.

N	აქტივბა	შესრულების დრო	რესურსი	პასუხისმგებელი პირი	აქტივობის აღწერა
1.	სამუშაო შეხვედრა	პირველი კვირა		პროექტის ხემძღვანელი	საპროექტო თემის გაცნობა სამოქმედო გეგმის შედგენა
2.	კვლევის ჩატარება	პირველი კვირა	ლეპტოპი ინტერნეტი ფურცლები ფანქრები	პედაგოგი მოსწავლეები	კიბერბულინგის ცნობადობა საკვლევი კითხვარის შედგენ
3.	მინი ლექცია კიბერბულინგის თემაზე	პირველი კვირა	ლეპტოპი პროექტორი	პედაგოგი	პედაგოგი მოსწავლეებს გააცნობს რა არის კიბერბულინგი? რომელი არხებით შეიძლება კიბრებულინგის განხორციელება და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს. გაეცნობიან კიბერბულინგთა ბრძოლის და პრევენციის გზებს.
4.	ვიდეო და ანიმაციური ფილმების ჩვენება	მეორე კვირა	ლეპტოპი პროექტორი	პედაგოგი	მოსწავლეები ნახავენ ვიდეო და ანიმაციურ ფილმებს კიბერბულინგის თემაზე ფილმის ნახვის შემდეგ გაიმართება დისკუსია რა ფორმის კიბერბულინგს ქონდა ადგილი.
5	კიბერბულინგის თემაზე ელ.რესურსის შექმნა Scratch-ში	მესამე მეოთხე კვირა	ლეპტოპი	პედაგოგი	პედაგოგი მოსავლებს გააცნობს Scratch-ის ვიზუალურ პლატფორმას ისტ.მასწავლებელთან თანამშრომლობით. მოამზადებენ

					მცირე ანიმაციას თემასთან შეაბამისობაში
6.	როგორ მოიქცეს მოსწავლე კიბერბულინგის დროს	მეხუთე კვირა	თამაში კიბერბულინგი	პედაგოგო	პედაგოგი მოსწავლეებს აუხსნის თამაშის წესებს მოსწავლეები დააფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს სხვადასხვა კონკრეტულ სიტუაციაში
7.	Canva-ში მომზადებული პოსტერების დამზადება ,გამოფენა,კონკურსი.	მეექვსე კვირა		პედაგოგი, მოსწავლეები	მასწავლებელი მოსწავლეებს გააცნობს Canva-ს ვებსაიტს, პოსტერების მომზადების წესებს, მოეწყობა პოსტერებ გამოფენა კონკურსი.

8	ბუკლეტების დამზადება Canva-ში.	მეშვიდე კვირა		მოსწავლეები	კიბერბულინგის თემასთან დაკავშირებით, ცნობიერების ამაღლების მიზნით მოსწავლეებ Canva-ში დაამზადებენ ბუკლეტ და გაავრცელებენ მოსწავლეებშ მშობლებში,მასწავლებლებში.
9.	პროექტის შეჯამება	მერვე კვირა	ლეპტოპი პროექტორი	მოსწავლეები	მოსწავლეები მომზადებენ განხორციელებული პროექტის ელეტრონულ პრეზენტაციას და წარუდგენენ სასკოლო საზოგადოებას .

მოსალოდნელი შედეგი:

მოსწავლეებს აქვთ ინფორმაცია, მედია და ინფორმაციული წიგნიერების შესახებ.

უვირთარდებათ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ციფრული ტექნოლოგიების, ინტერნეტის პასუხისმგებლიანი და ეფექტური გამოყენებისთვის.

აფასებენ ციფრული საშუალებების შესაძლებლობებს და არჩევენ მათ ახალი პროდუქტის შექმნისასა .